სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
Teacher training educational programme

პროფესია: რეგულირებადი

სწავლის ფართო სფერო: 01 განათლება (Education) (ISCED-F-2013)
სწავლის ვიწრო სფერო: 011 განათლება (Education)
დეტალური სფერო:
0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით (ISCED-FoET-2013)
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნინო ნახუცრიშვილი _ განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი
ნინო მოდებაძე - განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი

მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
ოქმი № 12, 20 ნოემბერი, 2024წ.
ფაკულტეტის დეკანი:

/ პროფ. ნ. მოდებაძე/

რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ოქმი №20, 22 ნოემბერი, 2024 წ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: /ასოც. პროფესორი: /ს. თათულიშვილი/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი № 25, 22 ნოემბერი, 2024 წ.
უნივერსიტეტის რექტორი /ასოც. პროფესორი: შ. ჭკადუა/

თელავი
2024 წ

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა **Teacher training educational programme**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:

ნინო ნახუცრიშვილი _განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, საკონტაქტო ინფორმაცია: email: nino.nakhutsrishvili@tesau.edu.ge T. 599- 28 55 75

ნინო მოდებაძე_განათლების დოქტორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, საკონტაქტო ინფორმაცია: email: nino.modebadze@tesau.edu.ge T. 555-452794

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:
ა) დამოუკიდებელად არსებული
ბ) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას. პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონესთან.
საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით გავლის შემდეგ **კურსდამთავრებულზე გაიცემა**:
ა) დამოუკიდებელად არსებული პროგრამის შემთხვევაში - შესაბამისი სერტიფიკატი, რომელიც აძლევს მას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებლობის უფლებას არჩეული მიმართულების შესაბამისად; პროფესიით მუშაობის დაწყება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელების შემთხვევაში- დიპლომსა და დიპლომის დანართში მიეთითება აგრეთვე ზოგადი განათლების საბაზო-საშუალო საფეხურზე საგნის სწავლების უფლება. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირების შემთხვევაში, კურსდამთავრებული მასწავლებლობის უფლებას მოიპოვებს მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების (საგნის გამოცდის ჩაბარების) შემდეგ.
ა) დამოუკიდებელად არსებული 60 კრედიტიანის შემთხვევაში **პროგრამა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საგნების მიმართულებებით:**

1. ქართული ენა და ლიტერატურა,
2. მათემატიკა,
3. ინგლისური ენა,
4. ქიმია,
5. ბიოლოგია,
6. ფიზიკური აღზრდა და სპორტი,
7. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება,

8. გეოგრაფია, ისტორია - საგნობრივი ჯგუფიდან „საზოგადოებრივი მეცნიერებები“,

ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელების შემთხვევაში პროგრამა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საგნების მიმართულებებით:

1. ქართული ენა და ლიტერატურა,
2. ინგლისური ენა,
3. ბიოლოგია,
4. ისტორია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ECTS

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u> მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს:

ა) **დამოუკიდებელად არსებული პროგრამის შემთხვევაში**: პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიმართულების შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ან შესაბამისი სახელოვნებო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც წარმატებით აქვს ჩაბარებული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით იმ საგნის გამოცდა, რომელიც განსაზღვრულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად. კონკრეტულად, საგნობრივი კომპეტენციების დასადასტურებლად, თითოეული მიმართულების შესაბამისად, პროგრამით განისაზღვრება შემდეგი საგნის გამოცდა:

- მიმართულება: ქართული ენა და ლიტერატურა -ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მიმართულება: მათემატიკა - მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მიმართულება: ქიმია -ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)
- მიმართულება: ბიოლოგია -ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)
- მიმართულება: ინგლისური ენა -ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)
- მიმართულება: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება -სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
- მიმართულება: ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სპორტი
- მიმართულება: გეოგრაფია -გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)
- მიმართულება: ისტორია -ისტორია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია:

- **საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება**;
- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება, რომელიც მოიცავს**
    - <u>ტესტირებას</u> - საქართველოს კანონი ზოგადი განათლების კანონის შესახებ
    - სამოტივაციო წერილს

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

<u>ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელების შემთხვევაში:</u>

პროგრამის გავლის უფლება აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგნის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის (რომელიც მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას) სტუდენტს, რომელიც დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:</u>

პროგრამის მიზნები შეესაბამება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და უნივერსიტეტისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმებს, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.

საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, თანხვედრაშია როგორც მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან, ისე ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შეესაბამება მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

პროგრამის ძირითადი მიზნები შესაბამისობაშია მისი ფუნქციონირების მისიასთან, რომ ეფექტიანი განხორციელებით უზრუნველყოს საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის უფროსი მასწავლებლის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია:

1. შესძინოს სტუდენტს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი დარგის კონცეპტუალური და თეორიული ცოდნა რიგ დისციპლინებში, კომპეტენციები სწავლების მეთოდოლოგიაში არჩეული საგნობრივი მიმართულებით, დააუფლოს პრაქტიკულ უნარებს, რომელთა აქტიური და მიზნობრივი გამოყენებით შეძლებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებას, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების, ინსტრუმენტების, სასწავლო რესურსების ეფექტიანად გამოყენებას,
2. აღჭურვოს უნარებით, რომ უნივერსალური დიზაინის პრინციპების დაცვით და თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომებით შეძლოს კლასის მართვა, მამოტივირებელი და პოზიტიური გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ, სოციალურ-ემოციურ, კოგნიტურ განვითარებას,
3. ჩამოუყალიბოს და გამოუმუშავოს პროფესიული პასუხისმგებლობა, ღირებულებები, რეფლექსიისა და თვითშეფასების უნარები, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკის გაცნობიერებას, სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართვას და წვლილის შეტანას ამ პროცესის გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლებაში, პროფესიული განვითარების ოპტიმალური გზების მოძიება-განხორციელებას და შესაძლებლობების რეალიზებას პროფესიული ეთიკის დაცვით.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება პროფესიის სპეციფიკა, შესაბამისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, დაუფლებული იქნება პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და ღირებულებებს, რაც საჭიროა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგის პროფესიული საქმიანობისთვის. მას ექნება სათანადო კვალიფიკაცია, რომ ასწავლოს საბაზო/საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად პროგრამით განსაზღვრული საგნებიდან ერთ-ერთი:

ა) დამოუკიდებელად არსებული პროგრამის შემთხვევაში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გეოგრაფია, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია, სპორტი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.
ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელების შემთხვევაში: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ისტორია, ბიოლოგია.
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს კომპეტენციებს შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

კრიტერიუმები	სწავლის შედეგები
I ცოდნა და გაცნობიერება	**1.1 პოზიტიური სასწავლო გარემო** • აღწერს როგორ შექმნას ჯანსაღი, უსაფრთხო, პოზიტიური, მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი, მამოტივირებელი სასწავლო გარემო და გაცნობიერებული აქვს უნივერსალური დიზაინის პრინციპებით ამ გარემოს მოწყობის მნიშვნელობა; • მოსწავლეთა საჭიროებებისა და მზაობის შესაბამისად განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს. • განსაზღვრავს კლასის მართვის, კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებს. • მსჯელობს თანამშრომლობითი გარემოს შექმნის სტრატეგიებსა და მნიშვნელობაზე საკუთარი თუ კოლეგების პროფესიული განვითარებისათვის და სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისთვის • მსჯელობს, როგორ შეუწყოს ხელი მშობელთა/მეურვეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. **1.2 სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება** • აღწერს და მსჯელობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე, საბაზო-საშუალო საფეხურების მოთხოვნებსა და ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებზე; მათი მიზნობრივად განხორციელების შესაძლებლობებზე • აღწერს როგორ დაგემოს და განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული და სწავლის უნივერსალური დიზაინით გათვალისწინებული სასწავლო პროცესი; სწავლება-სწავლის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით. მსჯელობს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვან, მოსწავლეზე ორიენტირებულ სტრატეგიებსა და მათი გამოყენების პერსპექტივებზე; • მსჯელობს საგანმანათლებლო რესურსების მნიშვნელობაზე, მათი მოძიების, მოდიფიცირებისა და შექმნის გზებსა და მიზნობრივ გამოყენებაზე მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით;

	• სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე მსჯელობს შეფასების სხვადასხვა ტიპების (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) პრინციპებზე, მეთოდებსა და კრიტერიუმებზე და მათი გამოყენების მნიშვნელობაზე თითოეული მოსწავლის პროგრესისთვის და სასწავლო პროცესის დახვეწისთვის. **1.3. პროფესიული განვითარება** • აღწერს და მსჯელობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებზე და მათგან გამომდინარე პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებზე ფორმებსა და გზებზე;
II უნარები	**2.1 . პოზიტიური სასწავლო გარემო** • თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით მათი პიროვნული, სოციალური, ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის, თვითრეგულირებადი ქცევის ჩამოყალიბებისა და პოზიტიური ურთიერთობების დამკვიდრების ხელშეწყობით ქმნის თანაბარ, უსაფრთხო, სწავლის ხელშემწყობ, სამართლებლივ, ეფექტურად ორგანიზებულ და საინტერესო გარემოს და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას საკლასო/ სასკოლო ცხოვრებაში; • ამყარებს და ხელს უწყობს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ეფექტურ კომუნიკაციას და თანამშრომლობას. **2.2 სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება** • ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნის სპეციფიკის მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავებს სასწავლო გეგმებს სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისას თანამშრომლობს ისგ-ის ჯგუფთან სსსმ მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით; • ეფექტიანად და მიზნობრივად იყენებს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს, შესაბამისად არჩევს, ქმნის, მოდიფიცირებას უკეთებს და არგებს სასწავლო რესურსებს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებითა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით; • ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი და პრობლემის გადაჭრის უნარების და მოსწავლეთა დამოუკიდებელ მსწავლელად ჩამოყალიბება-განვითარებას. • მდგრადი განვითარების და უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით, გეგმავს და განახორციელებს მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებულ საკლასო თუ კლასგარეშე საქმიანობას, ღონისძიებებს; ითვალისწინებს დიფერენცირებული და რემედიაციული სწავლების მიდგომებს;

III **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**	• მოსწავლეთა ობიექტური, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისათვის იყენებს შეფასების სხვადასხვა მიდგომებს, საშუალებებს და ფორმებს. **2.3. პროფესიული განვითარება** • საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციების გამოყენებით ახდენს ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებაა; **3.1.პოზიტიური სასწავლო გარემო** • აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და პატივს სცემს მათ კულტურულ მრავალფეროვნებას; განათლების ინკლუზიურობის, მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას პოზიტიური, მამოტივირებელი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისათვის; **3.2.სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება** • აღიარებს ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტების და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის მნიშვნელობას და ღირებულებას მისი პროფესიული საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის. • აღიარებს და იცავს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში მათი, როგორც ღირებულებების დამკვიდრებას; **3.3. პროფესიული განვითარება** • ისწრაფვის უწყვეტი პროფესიული განვითარების, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებისა და პრაქტიკაში მათი დანერგვისკენ და ლიდერობის უნარების განვითარებაზე; • აღიარებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის და პრაქტიკის კვლევის სრულყოფის მნიშვნელობას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აქტივობები, ფორმები:

სტუდენტთათვის სასურველი კონპეტენციების დასაუფლებლად სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლექცია/სემინარის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერაქტივს.

კურიკულუმი სავალდებულო და არჩევითი კურსების მონაცვლეობით, სხვადასხვა სასწავლო აქტივობებით, ეხმარება სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში. ყოველი სასწავლო კურსის სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეზენტაციებს, სტუდენტთა ინდივიდუალური ნაშრომების წარდგენას, რომლებიც გამოყენებულია სტუდენტთა შეფასებისთვისაც. სწავლა-სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები, აქტივობები, ფორმები, საშუალებები: წერითი და ზეპირსიტყვიერი მუშაობა, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, სწავლების ინდივიდუალური თუ ჯგუფური

მუშაობა, ლექციები დისკუსიის და დიალოგის თანხლებით, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული სამუშაოები და პრაქტიკუმები, სასკოლო პრაქტიკები, ახსნა–განმარტებები, დისკუსია/დებატები, დემონსტრირება, სწავლების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ევრისტიკული მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდები, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეისების განხილვა და სხვა, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს: პორტფოლიოს წარმოება, პრეზენტაცია, სემინარები, დებატები, დემონსტრირება, მოკლე პროექტების მომზადება, ელექტრონული რესურსით სწავლების ელემენტები.

- **ლექცია** ითვალისწინებს სასწავლო პროგრამით დაგეგმილი ძირითადი თემატიკის განხილვას და სტუდენტის უზრუნველყოფას სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია თეორიული კვლევისა და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე. ლექციები იკითხება პრობლემურ ასპექტში, ე.ი. ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის საკვანძო დებულებების გამოკვეთაზე და მათ ანალიზზე, სადაც სტუდენტები ჩართულები არიან ინტერაქტიურ რეჟიმში;
- **სემინარული მეცადინეობა** ითვალისწინებს კონკრეტულ საკითხებზე განსახილველი თემატიკის საფუძვლიანად დამუშავებასა და ჯუფის წინაშე წარდგენას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას გამოვლინდება თუ რამდენად სწორად აღიქვამს სტუდენტი შერჩეულ საკითხს, პრობლემას და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას.
- **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - სტუდენტი მოთხოვნის მიხედვით ამუშავებს კონკრეტულ თემას, მისი დახმარებით ამზადებს საშინაო დავალებას, არგუმენტირებულ ესსეს, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის და სხვ.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - რიგი სასწავლო კურსების სწავლებისას, კონკრეტული თემის ფარგლებში ხდება კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობა, თითოეული გამოთქმულის შესახებ მსჯელობა, რაც ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურად ამოიყენება სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის პირობებში
- **დისკუსია/დებატები** –დისკუსია თანმდევი პროცესია პრობლემური საკითხის გადასაჭრელად საკითხის დასმისას, ეს პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთებისა და გაზიარების უნარს.
- **ჯგუფური (collaborative) და წყვილებში მუშაობა** - სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფა და მათთვის სასწავლო დავალების მიცემა, სადაც ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს, საკმაოდ ეფექტურად ამოიყენება რიგ სასწავლო კურსების სწავლებისას. ეს მეთოდი ეფექტურია კომუნიკაციის, სხვისი აზრის მოსმენის, პატივისცემისა და გაზიარების,

თავისი მოსაზრების მკაფიოდ წარმოჩენის უნარების ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული სტრატეგიები უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ და ეფექტურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად გამოიყენება პრობლემა, რომელიც შესაძლოა იყოს რაიმე კონკრეტული საკითხი, მეთოდური სიტუაცია და ა. შ.. სტუდენტი ამ პრობლემის ადექვატურად გადასაწყვეტად მუშაობს წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, მოიძიებს უახლეს სამეცნიერო მიღწევებს შესაბამის სფეროში, სტატიებს, კონფერენციის მასალებს და ყველა იმ მასალას, რომელიც დასმულ პრობლემას უკავშირდება. მოპოვებული მასალებისა და მონაცემების, აგრეთვე საკუთარი მოსაზრებების შეჯერება გაზიარება ხორციელდება თანაჯგუფელებთან კომუნიკაციით, რაც ხშირად ახალი ცოდნის შექმნის საფუძველი ხდება.
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - ეს სტრატეგია ღირებულია მომავალი პედაგოგების მომზადებისთვის, ის ითვალისწინებს მიდგომას, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. კონკრეტული მაგალითების განხილვით სტუდენტები ერთვებიან მსჯელობაში და ხდება მისი დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.
- **ინდუქციური მეთოდი** - სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ზოგჯერ ხდება ფაქტებიდან განზოგადებისაკენ, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, რაც საგნობრივი ცოდნის შეძენის ერთ-ერთი გზაა.
- **დედუქციური მეთოდი** - ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესი ზოგჯერ კი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით კონკრეტულთან მიმართებაში სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება ეხმარება სტუდენტს საკითხის გააზრებასა და ცოდნის ტრანსფერში.
- **ანალიზის და/ან სინთეზის მეთოდები** აქტიურად გამოიყენება სწავლების პროცესში, რადგან სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, შედეგად, უფრო მარტივად რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება და/ან ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა, რაც ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას, ღირებულია საკითხის უკეთ გააზრებისა და სტუდენტთათვის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.
- **დემონსტრირების (თვალსაჩინოების) მეთოდი** ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ (პრეზენტაცია).თვალსაჩინოების მეთოდის კარგი მაგალითია ვიდეომასალების ჩვენება და განხილვა, რომელიც მოდელირებული სიტუაციების ბუნებრის ფორმატს წარმოადგენს, ეს რიგი სასწავლო კურსებისთვის სწავლა-სწავლების ეფექტური მეთოდოლოგიის ნაწილია. ვიდეომასალა შეიძლება აღწერდეს იმ სფეროში მომხდარ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას და ის გაგრძელდეს სტუდენტებთან ე.წ. **შემთხვევის ანალიზის** ფორმატით.

- **ლაბორატორიული მეცადინეობა** უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.
- **პრაქტიკულ მეცადინეობებს** დიდი ადგილი უკავია თითქმის ყველა სასწავლო კურსის სწავლებაში, რადგან კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველი ხდება.
- **სასწავლო პრაქტიკას გამორჩეული ყურადღება ეთმობა პროგრამის განხორციელებისას, რადგან ის** ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას, ანვითარებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, შესწავლილი საგნისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად,
- ლექციების მსვლელობისას თეორიული მასალის გაღრმავებას ხელს უწყობს **ჩაშენებული პრაქტიკა,** რაც ითვალისწინებს საადიტორიო შეხვედრებისას განხილული და ათვისებული გარკვეული მასალის გამოყენებას, ცოდნის განმტკიცებას, პრაქტიკულ რეალიზებას სხვადასხვა დავალებების შესრულებისას. დავალებებში წინასწარ განსაზღვრულია შესასრულებელი აქტივობები და დავალებაში წარმოსადგენი მოთხოვნები. პროცესი ხორციელდება წინასწარ დაგეგმილ დროს კონკრეტულ საჯარო სკოლაში ლექტორისა და საგნის მასწავლებლის უშუალო რეკომენდაციითა და ხელმძღვანელობით.
- **კონსულტაციები** სტუდენტს ხელს უწყობს პედაგოგის დახმარებით დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, სასწავლო ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის სწორად წარმართვას და დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში გარკვევას.
- **პორტფოლიოს წარმოება** პორტფოლიოს შექმნა სტუდენტისა და ლექტორისათვის ერთგვარი მეტრია პროფესიული ზრდის დინამიკის დასადგენად და განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მასწავლებლის მომზადების პროგრამის განხორციელებისას, თუმცა ნებისმიერი მიმართულების სტუდენტებისათვის ეს მეთოდოლოგია ეფექტურია და სასარგებლო.
- **ელექტრონული რესურსით სწავლება** – ეს მეთოდი ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენებას.
- **პროექტებით სწავლება** - სასწავლო თემატიკიდან გამომდინარე მცირე პროექტის დაგეგმვა/განხორციელება

პროგრამის დასრულების პირობები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების დადასტურებას კურსდამთავრებულების მიერ. შედეგები დასტურდება ვალიდური და სანდო ინსტრუმენტებით. პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო პრაქტიკას და შესაბამისი პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებას სტუდენტთათვის, ამიტომ მათთვის სავალდებულოა სასკოლო პრაქტიკის გავლა, სადაც ისინი ავლენენ ათვისებულ ცოდნას და ახდენენ მის რეალიზებას პრაქტიკულად. პროგრამის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად პერიოდულად ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და პროგრამის ხარისხის შეფასება, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლების გამოკითხვასა და

გამოკითხვის შედეგების შეფასება-გამოყენებას ამ მიზნით. ამდენად, პროგრამის ხარისხი ფასდება კომპლექსურად, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად.

დასაქმების სფერო: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს უფლება დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო და კერძო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე არჩეული მიმართულების შესაბამისი საგნის მასწავლებლად; ასევე, ზოგადი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებში ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: პროგრამის განხორციელებისათვის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე, არის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები: ბუნებისმეტყველებისა და STEM ლაბორატორიები, ფიზიკის, ქიმიის, უცხო ენების კაბინეტები, ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი, სტუდენტთა ფსიქოლოგიური დახმარების კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი, საკონსულტაციო ოთახი, უწყვეტი რეჟიმში მოწოდებული ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი; ასევე, თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი და წიგნადი ფონდით და ელექტრონული ბაზებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებსა და ლექტორებს შეუძლიათ წვდომა საერთაშორისო ბაზებთან. კონკრეტულად, დარგობრივ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან:

EIFL-ის კონსორციუმის ბაზები პუბლიკაციების გამოქვეყნების შესაძლებლობებით:

1. Cambridge Journals Online *(https://www.cambridge.org/core);*
2. e-Duke Journals Scholarly Collection *(https://read.dukeupress.edu/);*
3. Mathematical Sciences Publishers Journals*(https://msp.org/);*
4. SAGE Journals *(https://journals.sagepub.com);*

ელექტრონული წიგნების და ჟურნალების ბაზა (oxford university):
განათლება - https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC01940
გარემოს დაცვა -https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC02100

Elsevier მონაცემთა ბაზები

1. ScienceDirect®online http://www.scopus.com
2. Scopus® online https://www.sciencedirect.com

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტთა ცოდნის შეფასება და კრედიტის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობისთელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ცვლილებებით ოქმი # 11, 06.06.2024) შესაბამისად, რომლის თანახმადაც სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით:

- *შეფასება ხორციელდება 2 აუცილებელი ფორმით, შუალედური შეფასებისა და ფინალური გამოცდის საფუძველზე:* სემესტრული შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებებისა და ფინალური გამოცდის ქულათა ჯამით.
- დაუშვებელია კრედიტის მინიჭება მხოლოდ ერთი კომპონენტის გამოყენებით.
- კრედიტის მისანიჭებლად სტუდენტი ვალდებულია შეფასების თითოეულ კომპონენტში გადალახოს ქულათა მინიმალური ზღვარი, რაც თითოეული სასწავლო კურსისთვის

მითითებულია შესაბამის სილაბუსში და რომელიც არ აღემატება შესაბამისი შეფასების 60%-ს;

- თითოეულ საგანში სტუდენტს კრედიტი ენიჭება სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ განხილული ერთ-ერთი დადებითი შეფასების საფუძველზე.
  დეტალურად იხ. სასწავლო კურსების სილაბუსები.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

<u>**მითითება:**</u>

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ნიშნავს დამატებით გამოცდას. სასწავლო კომპონენტის შესაბამისი დამატებითი გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს ფინალური გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.
- სტუდენტს, რომელსაც დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულას მიიღებს, უფორმდება შეფასება F-0.

პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის რელევანტური, ობიექტური და გამჭვირვალეა.

პროგრამის ფარგლებში რაოდენობრივ შეფასებასთან ერთად დაგეგმილია ლექტორთა მიერ სტუდენტების განმავითარებელი შეფასება, რომელიც პირდაპირი (მაგრამ არა ერთადერთი) სტრატეგიული ინსტრუმენტია სტუდენტებისათვის ზოგადი (ტრანსფერული) უნარების განსავითარებლად (კომუნიკაციის, ეთიკური, სწავლის საჭიროებების განსაზღვრა, აზრის წარდგენისა და გაზიარების უნარები, და სხვ). ამავე დროს, ლექტორის მიერ სტუდენტთათვის შეთავაზებული შეფასების ეს ფორმატი, სტუდენტის პროფესიული ზრდის ეტაპების დაფიქსირებას, პროგრესის (ან რეგრესის) დინამიურობის დადგენასა და სტუდენტის მომდევნო საგანმანათლებლო აქტივობების გაცნობიერებას უწყობს ხელს. ეს სწავლა-სწავლების ხარისხის ერთგვარი გაუმჯობესების ხელშემწყობი პირობაა.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები: პროგრამა ხორციელდებს ორი სახით: დამოუკიდებელად არსებული და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის განხორციელების ხანგრძლივობა:

ა) დამოუკიდებელად არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროგრამა ხორციელდება ერთი სასწავლო წლის, ორი სემესტრის, განმავლობაში;

ბ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ხუთი სემესტრის, განმავლობაში, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სემესტრიდან;

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მითითებული დარგობრივი მიმართულებების შესაბამისად პროგრამაზე შემომსვლელთა მიღებას ყოველწლიურად, თითოეული მიმართულებით ოპტიმალური რაოდენობით არაუმეტეს 20 სტუდენტისა.

პროგრამის განხორციელება ხდება ცხრამეტკვირიანი სასწავლო სემესტრების განმავლობაში. მათგან მერვე კვირა განკუთვნილია შუალედური წერისთვის, ხოლო მეთხუთმეტე კვირა-პრეზენტაციისთვის, მე-16 და მე-17 კვირები განკუთვნილია ფინალური გამოცდისთვის, ხოლო მე-18 და მე-19 კვირები-დამატებითი გამოცდებისთვის.

სტუდენტთა სასწავლო დატვირთვისას უპირველესად გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო დრო და ეფუძნება სტუდენტის დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს. კრედიტების დაახლოებით მესამედი გათვლილია სააუდიტორიო შეხვედრებისთვის, ხოლო დანარჩენი, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის, 1 კრედიტი უტოლდება 25 სთ-ს. სასკოლო პრაქტიკაზე სტუდენტის მიერ გატარებული საკონტაქტო საათებისთვის გამოყოფილია სასკოლო პრაქტიკის კრედიტის შესაბამისი საერთო საათების რაოდენობის არანაკლებ 1/3-ისა. პრაქტიკის დეტალური გეგმა: იხილეთ შესაბამისი სილაბუსები.

პროგრამის სტრუქტურა ემყარება კომბინირებულ ვარიანტს: მოდულები და ცალკეული კურსები, მათი კრედიტები, გადანაწილება სემესტრების მიხედვით და თითოეულის სტატუსი ნათლად არის მითითებული. პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტს, რაც აისახება პრაქტიკის კვლევაში, გარკვეული დოზირებით სხვადასხვა სასწავლო კურსებში. პროგრამაში ყველა კომპონენტი და მათ შორის თანაფარდობა ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს შესაბამისი განათლების მიღებას სტუდენტთა პროფესიული მომზადებისათვის საჭირო დისციპლინებში.

პროგრამა მოიცავს სავალდებულო კურსებს, ასევე, არჩევით კურსებს, რომელთა ათვისებაც ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული ცოდნის გაფართოებას და უფრო მაღალ დონეზე აჰყავს მათი პროფესიული კომპეტენციები.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და არჩევითი კურსების მოდულებში შემავალი ყველა სასწავლო კურსის, ასევე, ინკლუზიური განათლების ლექციები ყველა საგნობრივ მიმართულების სტუდენტთათვის ტარდება ერთად, ხოლო საგნის სწავლების დიდაქტიკა ტარდება საგნობრივი ჯგუფებისთვის ცალკ-ცალკე.

სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან ურთიერთთანამშრომლობის და საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, მათი რეკომენდაციებით და/ან რესურსების გამოყენებით და საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა რიგი სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილ იქნა პროგრამაში საანგარიშე პერიოდში (2016 წლიდან დღემდე) და ემსახურება მასწავლებლის სპეციალობისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას, განვითარებას და/ან განმტკიცებას, ეს სასწავლო კურსებია:

1. მასწავლებლის პორტფოლიო და რეფლექსია
2. ესგ და მისი ძირითადი კონცეფცია
3. სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება მომავალი პედაგოგებისთვის

4. გენდერულად პასუხისმგებლიანი სკოლა.

პროგრამისთვის განკუთვნილი 60 ECTS კრედიტი, განაწილებულია შემდეგი სახით: 46 კრედიტი სასწავლო კურსებია (41 კრედიტი სავალდებულო და 5 კრედიტი არჩევითი); ხოლო 14 კრედიტი დათმობილი აქვს სასკოლო პრაქტიკას და პრაქტიკის კვლევას.

პროგრამის აგების დროს გათვალისწინებულია სასწავლო კურსების და მათი სწავლების ლოგიკური თანმიმდევრობის სპეციფიკა. მასწავლებლის მომზადების სხვადასხვა სასწავლო კურსების, საგანთა სწავლების მეთოდიკების სწავლება წინ უძღვის სასკოლო პრაქტიკას იმისდა მიხედვით, თუ რას ითვალისწინებს კონკრეტული სასკოლო პრაქტიკის განხორციელება. ყველა მიმართულების საგნის სწავლების მეთოდიკას დათმობილი აქვს 14 კრედიტი, რაც ორი სასწავლო კურსის ფარგლებში შეისწავლება. განსხვავებულია ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება, რომლის შემთხვევაშიც ჯერ შეისწავლება ორი სასწავლო კურსი პარალელურ რეჟიმში: ქართული ენის სწავლების მეთოდიკა (4 კრედიტი) და ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა (5 კრედიტი), ხოლო შემდეგ შეისწავლება ერთი სასწავლო კურსი: ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა (5 კრედიტი).

რაც შეეხება არჩევით კურსებს, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, 5 კრედიტის ფარგლებში, ინტერესის გათვალისწინებით აირჩიოს ორი სასწავლო კურსი.

დამოუკიდებლად არსებული პროგრამის შემთხვევაში სტუდენტთა დატვირთვა სასწავლო წლის პირველ და მეორე ნახევარში შეადგენს 31-29 კრედიტს, ხოლო ქართულის არჩევის შემთხვევაში 33-27კრედიტს. რაც შეეხება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებას, ამ შემთხვევაში კრედიტები სემესტრების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად: I სემესტრი-11 კრ, II სემესტრი-10 კრ, III სემესტრი-13 კრ, ხოლო ქართულის არჩევის შემთხვევაში 15 კრ, IV სემესტრში 12 კრ, ხოლო ქართულის არჩევის შემთხვევაში 10 კრ და ბოლო, V სემესტრში-14 კრ, სულ, ჯამში 60 კრ.

აღსანიშნავია, რომ რიგი სასწავლო კურსების სწავლებისთვის გარდა სააუდიტორიო ფორმისა, გათვალისწინებულია ე. წ. ჩაშენებული პრაქტიკის ელემენტებიც, რაც ითვალისწინებს გარკვეული დავალებების შესრულებას სკოლის ბაზაზე მცირეხნიანი ვიზიტისას, უშუალო კონტაქტს საგაკვეთილო პროცესთან სასკოლო გარემოში, პედაგოგის ასისტირებას. ეს ცხადია ხელს უწყობს სტუდენტის მიერ ცოდნის პრაქტიკულ რეალიზების უნარ-ჩვევების, პროფესიული კომპეტენციების დაუფლებას, სასკოლო სიტუაციების უკეთ შესწავლას, გამოკვლევას და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე საკუთარი აქტივობების უკეთ დაგეგმვა-განხორციელებას. ყოველი ასეთი დავალება ფასდება გარკვეული ქულებით, რაც ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსში.

ეს სასწავლო კურსებია:

- ✓ კვლევის მეთოდები განათლებაში
- ✓ ინკლუზიური განათლება
- ✓ მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის ზოგადი კურსი, არითმეტიკული და ალგებრული მასალების სწავლების მეთოდიკა
- ✓ გეომეტრიული მასალისა და ალბათობა-სტატისტიკის სწავლების მეთოდიკა

სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა

სასკოლო პრაქტიკა, რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი, ხორციელდება ერთი სემესტრის განმავლობაში. დამოუკიდებლად არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში მეორე სემესტრში, ხოლო ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

განხორციელებად პროგრამის შემთხვევაში, მე-5 სემესტრში. მის პარალელურად მიმდინარეობს სასწავლო კურსი ,,პრაქტიკის კვლევა", რასაც დათმობილი აქვს 4 კრ.
აქტიურ სასკოლო პრაქტიკას სტუდენტი გადის საგნის სწავლების სპეციფიკის შესაბამისად. (დაწვრილებით ინფორმაციისათვის იხ. დანართი: ,,სასწავლო გეგმა" და შესაბამისი სილაბუსები.)

პროგრამაში ყველა კომპონენტი და მათ შორის თანაფარდობა ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს მყარი და საფუძვლიანი განათლების მიღებას სტუდენტთა პროფესიული მომზადებისათვის საჭირო დისციპლინებში.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ისწავლის სსსმ პირი, მათთვის გათვალისწინებული იქნება პროგრამის ორგანიზების ცალკეული პუნქტების განხორციელების შემდეგი ფორმები:

შუალედურ და ფინალურ გამოცდაზე გასათვალისწინებელი აკომოდაციის ფორმები:

- გამოცდის გაზრდილი დრო .
- ტექნოლოგიების გამოყენება(მაგ.:კითხვების ხმამაღლა წაკითხვისთვის)
- გამოცდის დისტრაქტორებისგან თავისუფალ გარემოში ჩატარება
- ხანმოკლე შესვენებები გამოცდის მანძილზე
- საგამოცდო ფურცელის ფორმატის (შრიფტი, ზომა) ცვლილება
- კალკულატორის გამოყენება;
- დროის შემცირება;
- შეფასების, გამოცდის ეტაპობრივი ჩატარება;
- გამოცდების ინდივიდუალური გრაფიკი

სწავლების პროცესში დახმარების ფორმები:

- ინდივიდუალური კონსულტაციები;
- ფიზიკური მისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სწავლების ინდივიდუალური განრიგი;
- ინსტრუქციის/მასალის მიწოდება სხვადასხვა გზებით;
- აუდიო მასალის გამოყენება;
- წერითი აქტივობის ზეპირით ჩანაცვლება;
- ზეპირი აქტივობის წერით (სხვა ფორმით) ჩანაცვლება;

სასწავლო გეგმა იხ .დანართის შესაბამისად.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:</u>

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არის შესაბამისი ადამიანური რესურსი. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის სამეცნიერო და პედაგოგიური კომპეტენციის აკადემიური და სათანადო კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები.

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

№	ლექტორის გვარი, სახელი	კვალიფიკაცია	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო კურსების დასახელება
1	ნინო ნახუცრიშვილი	განათლების დოქტორი	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის ზოგადი კურსი, არითმეტიკული და ალგებრული მასალების სწავლების მეთოდიკა
				გეომეტრიული მასალისა და ალბათობა-სტატისტიკის სწავლების სწავლების მეთოდიკა
2	ნინო მოდებაძე	განათლების დოქტორი	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	განვითარებისა და სწავლების თეორიები
				თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები
				ესგ და მისი ძირითადი კონცეფცია
3	დავით მახაშვილი	განათლების დოქტორი	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	განათლების პოლიტიკა
				სააღზრდელო პროცესის ორგანიზება
4	ჰამლეტ რაზმაძე	პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა 1
				სპორტული თამაშებისა და მძლეოსნობის სწავლების მეთოდიკა
	ნინო ბასილაშვილი	ფსიქოლოგიის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	ზოგადი ფსიქოლოგია
				განვითარების ფსიქოლოგია
				სტრესის დაძლევის ფსიქოლოგიური მექანიზმები
6	თამარ მიქელაძე	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	მასწავლებლის პორტფოლიო და რეფლექსია
				ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 1
				ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა 2
7			ასოცირებული პროფესორი,	სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

	შორენა ძამუკაშვილი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	ინკლუზიური განათლება
				სასკოლო პრაქტიკა
8	მაკა სიდამონიძე	განათლების მეცნიერებების დოქტორი,	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ასისტენტი	ქართული ენის სწავლების მეთოდიკა
				ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა
9	ნათელა მაღლაკელიძე	განათლების მეცნიერებების დოქტორი,	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მოწვეული პროფესორი	ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება
10	დარეჯან გაგნიძე	განათლების მეცნიერებათა დოქტორი	მოწვეული ლექტორი	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა 1
				სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა 2
11	მაგდა დავითაშვილი	ბიოლოგიის დოქტორი	აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი	ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 1
				ბიოლოგიის სწავლების მეთოდიკა 2
12	ნანა ბერძენიშვილი	გეოგრაფიის დოქტორი; სემას აკადემიკოსი; გეოგრაფიის მენტორი მასწავლებელი	ასოცირებული პროფესორი; აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი.	გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა 1
				გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა 2
13	დარეჯან მარგალიტაშვილი	ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, წამყვანი მასწავლებელი ქიმიის მიმართულებით	აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი ასისტენტპროფესორი	ქიმიის სწავლების მეთოდიკა (პირველი ნაწილი)
				ქიმიის სწავლების მეთოდიკა (მეორე ნაწილი)

14	მარიამ ზაქარიაშვილი	პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ინფორმატიკის მიმართულებით	აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწავლებაში
15	ალექსანდრე მოსიაშვილი	ისტორიის აკადემიური დოქტორი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	ისტორიის სწავლების მეთოდიკა (1)
				ისტორიის სწავლების მეთოდიკა. (2)
16	სოფიო არსენიშვილი	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი	მოწვეული ლექტორი	ინტერკულტურული განათლება
17	ალომე თათულიშვილი	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	კვლევის მეთოდები განათლებაში
18	ნინო გიგილაშვილი	განათლების დოქტორი	ასისტენტ პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	პედაგოგიური ეთიკა
				გენდერულად პასუხისმგებლიანი სკოლა
				სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება მომავალი პედაგოგებისთვის
19	ანა გიგაური	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა საბაზო-საშუალო საფეხურზე
20	ნათელა ბაღათრიშვილი	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	პრაქტიკის კვლევა
21	ია ჩაქიაშვილი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	• სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება მომავალი პედაგოგებისთვის • განათლების ფსიქოლოგია

				• სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები

გარდა აღნიშნული რესურსისა, გამოყენებულია სხვა რესურსებიც: პროგრამის პრაქტიკის კომპონენტების განსახორციელებლად უზრუნველყოფილია თელავის რაიონის საჯარო სკოლებთან თანამშრომლობა, მემორანდუმი. სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან პარტნიორობა, რაც ამავე დროს ემსახურება პერსონალის პროფესიულ განვითარებას და პროგრამის დახვეწას.

პროგრამას თან ახლავს:

- სასწავლო გეგმა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასებით გათვალისწინებული თანმდევი დოკუმენტაცია